მესტიის მუნიციპალიტეტი

უშგული, მინდია ჩარქსელიანის ფოტო

2022 წელი, №2 * მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო გამოცემა

ცხუმარის გზის რეაბილიტაციის პროექტი

მესტიის მუნიციპალიტეტის ცხუმარის ადმინისტრაციულ ერთეულში 2587 მ. სიგრძის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება.

უკვე დაგებულია ასფალტობეტონის საფარი 1,8 კმ-ზე. პროექტის ფარგლებში დასრულდა ნაპირდამცავი გაბიონების მშენებლობის სამუშაოები და სანიაღვრე მილების სათავისების მოწყობა. ასევე მოეწყო საყრდენი კედლები გაბიონში ქვის

წყობით და ბაგირი-ზღუდარის მონტაჟი შელებვით.

ამ ეტაპზე ხორციელდება დარჩენილი გზის ბეტონის საფარის დაგება და კიუვეტების არხის მოწყობის სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში (NAT200012702) გამარჯვებული კომპანია შპს „ლიდერ +“ ასრულებს.

პროექტი მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 აგვისტოს #1398 განკარგულებით, საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და მისი საერთო ღირებულება შეადგენს 4 273 052 ლარს.

ცხუმარის გზის სამშენებლო სამუშაოები 2020-წელს დაიწყო და 2022 წლის აგვისტოს ბოლოსთვის დასრულდება.

პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სამუშაო ვიზიტი მესტიაში

პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა სასკოლო საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების პრაქტიკა ეფექტიანი სწავლა-განათლების უზრუნველყოფის პროცესში საკითხის თემატური მოკვლევის ფარგლებში მესტიაში შეხვედრები გამართა.

სამდღიანი გასვლითი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში მოკვლევის ჯგუფის წევრებმა სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი მოინახულეს და ადგილობრივი სკოლების მიერ მუზეუმის რესურსის გამოყენების პრაქტიკას და მოსწავლეებისთვის არსებულ სერვისებს გაეცნენ. ამავე პროცესში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რესურსის გამოყენების პრაქტიკის გასაცნობად, დეპუტატები პროფესიულ კოლეჯ „თეთნულდს“ ესტუმრნენ, ხოლო დაწესებულებების მიერ საგანმანათლებლო რესურსების პრაქტიკის გაცნობის მიზნით, სოფელ ლატალის და მესტიის N1 საჯარო სკოლებს ეწვივნენ.

„დღეს ვესტუმრეთ პროფესიულ კოლეჯს მესტიაში, ასევე ორ საჯარო სკოლას. დავათვალიერეთ სასწავლო ინფრასტრუქტურა და გავეცანით იმ პროგრამებს, რომელსაც ისინი ახორციელებენ. ჩვენი მოკვლევისთვის აუცილებელია, ვიცოდეთ, რა პირობებში უწევთ ჩვენს მოსწავლეებს და პროფესიული კოლეჯის სტუდენტებს სწავლა, რათა მეტი მხარდაჭერა ჰქონდეთ ჩვენს მაღალმთიან რეგიონებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია განათლება ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის“, - განაცხადა პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის

თავმჯდომარემ, გიორგი ამილახვარმა.

აღნიშნული თემატური მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის თამარ ტალიაშვილის განცხადებით, მოკვლევის მიზანია პოლიტიკის განსაზღვრისა და რეფორმების განხორციელების პროცესში რეგიონების ჩართულობის გაზრდა და სფეროში არსებული გამოწვევების ადგილზე გაცნობა. „განათლების და მეცნიერების კომიტეტისათვის არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ადგილზე გავეცნოთ, თუ რა ტიპის საგანმანათლებლო რესურსები, გამოწვევები და პრობლემები არსებობს“, - აღნიშნა თამარ ტალიაშვილმა.

გასვლითი სამუშაო ვიზიტი მხარდაჭერილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ.

ავსტრიის ელჩის ვიზიტი

14 ივნისს, მესტიის მუნიციპალიტეტის მერი, კაპიტონ ჟორჟოლიანი, მერის პირველი მოადგილე, ნელი ნავერიანი, მერიის წარმომადგენლებთან ერთად, ავსტრიის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში, თომას მიულმანს და პროექტ GRETA-ს ხელმძღვანელს, რიკარდო მონტანარის შეხვდნენ.

შეხვედრაზე ისაუბრეს მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე და საჭიროებებზე. მათ ასევე განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

შეხვედრის დასასრულს, მესტიის მერმა სტუმრებს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ვიზიტის ფარგლებში, ავსტრიის ელჩმა სოფელ მაზერის (ბეჩო) საჯარო სკოლაში ავსტრიული კუთხე გახსნა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ სტუმრებმა მოინახულეს სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, სადაც გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „ბერტა ფონ ზუტნერი – ავსტრიელი ნობელიანტი ქალი მშვიდობის დარგში - ცხოვრება საქართველოში“.

გამოფენა მშვიდობის დარგში პირველი ნობელიანტი ქალის, ბერტა ფონ ზუტნერის საქართველოში გატარებული წლებისა და ცხოვრების ამსახველ მასალებს აერთიანებს.

გამოფენის მიზანია მშვიდობის დარგში მწერალი ქალის მოღვაწეობისა და საქართველოში მისი ცხოვრების პერიოდის გახსენება, ასევე ქართულ-ავსტრიული ურთიერთობების ხაზგასმა.

ღონისძიება ავსტრიის საელჩოს ორგანიზებითა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა.

ღონისძიება დასრულდა პროფესიული კოლეჯი „თეთნულდის“ მიერ საგანგებოდ მომზადებული კერძების დაგემოვნებით.

სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მუზეუმის მხარდაჭერის საბჭოს სხდომა

28 ივნისს, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში გაიმართა **სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მუზეუმის მხარდაჭერის საბჭოს სხდომა.**

მუზეუმის დირექტორმა, სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა, ზვიად კვიციანმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ხუთი თვის მანძილზე **შესრულებული სამუშაოების შუალედური ანგარიში.**

სხდომას ესწრებოდნენ მესტიის მუნიციპალიტეტის მერი, კაპიტონ ჟორჟოლიანი, მერიის თანამშრომლები, მერის რწმუნებულები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის სასულიერო პირები, მუნიციპალიტეტის პედაგოგები და აინტერესებული პირები.

სხდომაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა საბჭოს წესდება, რომლის შემადგენლობაშიც შედიან:

- **საბჭოს თავმჯდომარე** - სსიპ ეროვნული მუზეუმის, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორი, სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფ. ზვიად კვიციანი;
- **საბჭოს საპატიო თავმჯდომარეები** - მაღალყოვლადუსამღვდელოესი, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის მიტროპოლიტი ილარიონი და მესტიის მუნიციპალიტეტის მერი, კაპიტონ ჟორჟოლიანი.

• **საბჭოს წევრები:**

- სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის თანამშრომლები;
- მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის სასულიერო პირები;

- მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის მუშაკები და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები (გამგებლები);
- მესტიის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ ძეგლების დაცვა, შესწავლასა და აღორძინების საკითხში.

საბჭოს მიზანია მხარი დაუჭიროს სსიპ ეროვნული მუზეუმის, სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის ბაზაზე საექსპერტო-სამეცნიერო საქმიანობის აღდგენას.

საბჭო ასევე ზრუნავს, სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისა და შესწავლის საკითხებზე და ამ დარგში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის კონსულტაციის გაწევაზე.

გარდა ამისა, საბჭოს ამოცანას წარმოადგენს სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისთვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით, აგრეთვე მოსახლეობაში გაბნეული არტეფაქტებისა და ექსპონატების შესყიდვა/გადაცემა მუზეუმისათვის.

საქართველოს მთის განვითარების ფორუმი მესტიაში

17-18 ივნისს, მესტიამ საქართველოს მთის განვითარების ფორუმს უმასპინძლა. მთის ფორუმის ორგანიზატორი იყო ქეა ავსტრია, ENPARD III პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და თანადაფინასებულია ავსტრიის განვითარების თანამშრომლიბის მიერ მესტიის მუნიციპალიტეტში. პროექტს ახორციელებს ქეა ავსტრია PMC კვლევით ცენტრთან ერთად.

ფორუმის მთავარი მიზანი გახლდათ საქართველოს მთიანი რეგიონების წინაშე არსებული გამოწვევების და შესაძლებლობების განხილვა, ადგილობრივი განვითარების ჯგუფების როლი მთისა და სოფლად მდგრად განვიათარებაში და შეემუშავებინა რეკომენდაციები მთიანი განვითარების პოლიტიკისთვის.

„ENPARD III მესტია“ პროექტის ინიციატივით მთის განვითარების საკითხების ადვოკატირების პროცესი საქართველოს LAG-ებისა და LEADER მიდგომის საშუალებით მიმდინარეობს. სოფლად არსებული საერთო პრობლემების გარდა, მთიან რეგიონებს დამატებითი გამოწვევები გააჩნიათ, მათ შორის გეოგრაფიული სიშორე, შეზღუდული ხელმისაწვდომობა მომსახურებაზე და ბაზრებზე, კლიმატის ცვლილების გავლენა, მიგრაცია. ამ გამოწვევებზე საპასუხოდ და ასევე, მთიანი რეგიონებში არსებული შესაძლებლობებისა და შედარებითი უპირატესობის გამოსავლენად, პროექტმა ხელი შეუწყო მთიანი რეგიონების LAG-ების ქსელის დაარსებას საქართველოს LAG-ების ასოციაციის პლატფორმაზე. მთის განვითარების ფორუმი ეძღვნებოდა სწორედ მთიანი LAG-ების მიერ გაწეული სამუშაოს შეჯამებას და მომდევნო ნაბიჯების დაგეგმვას მთის განვითარებისთვის.

ჟორჟ დეუმ, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა და პროგრამის მენეჯერმა, სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და სურსათის უვნებლობის საკითხებში, ავსტრიის საელჩოს ტექნიკური თანამშრომლობის ოფისის ხელმძღვანელმა, ალექსანდერ კარნერმა ღონისძიება ქეა ავსტრიასთან ერთად გახსნეს. ფორუმს ესწრებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების, მათ შორის ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები; სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნული პარტნიორები განვითარების სფეროში, მათ შორის საქართველოში არსებული 14-ივე ადგილობრივი განვითარების ჯგუფებისა და ENPARD პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ღონისძიება გაგრძელდა მთის რეგიონების წინაშე არსებულ გამოწვევებისა და შესაძლებლობების განხილვით, რომელზეც იმსჯელეს შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობის კავკასიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელმა, დანიელ მეულიმ, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა. მათ ასევე ისაუბრეს მთის რეგიონების გამოწვევების დაძლევის საუკეთესო სტრატეგიებზე.

ღონისძიებაზე განხილული მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ საქართველოს LAG-ების ინსტიტუციონალიზაცია, საქართველოს LAG-ების ასოციაციის (GALAG) საქმიანობა და საერთო ადვოკატირების გეგმა სოფლისა და მთის განვითარებისთვის. საქართველოს LAG-ების მიერ განსაზღვრულ ადვოკატირების საკითხებს შორის არის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მონაწილეობითი მონიტორინგი, რომელიც მესტიის მუნიციპალიტეტში წარმატებით განხორციელდა და ამჟამად სხვა რეგიონებშიც მიმდინარეობს.

ფორუმზე განხილეს ასევე, მნიშვნელოვანი საკითხი - ტერიტორიული ბრენდირება, მასთან ერთად სასურსათო უსაფრთხოებისა და ადგილობრივი პროდუქტის ხარისხის საკითხები, რომელზეც იმსჯელეს ავსტრიის განვითარების სააგენტოს პროექტის GRETA-ს ორგანიზაცია Mercy Corps, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და ადგილობრივმა მეწარმეებმა. მონაწილეები გაეცვნენ ტერიტორიული ბრენდირების მნიშვნელობას, წარმატების მაგალითებს საქართველოსა თუ საერთაშორისო დონეზე, გამოწვევებსა და პერსპექტივებს რომელიც ამ საკითხის ადვოკატირებას ახლავს თან. ტერიტორიული ბრენდირების საკითხის განხილვას თან ახლდა ტრადიციული სვანური ყველის „ნარჩვის" გაცნობა დამწრეთათვის. „ENPARD III მესტია“ პროექტის ინიციატივით სწორედ ტრადიციული სვანური ყველის ნარჩვის პოპულარიზაციისა და ბრენდირების საკითხებზე მუშაობა მიმდინარეობს.

ღონისძიების მონაწილეებმა სამუშაო ჯგუფების ფორმატში გააგრძელეს მსჯელობა და შეიმუშავეს პოლიტიკის რეკომენდაციები მთიანი რეგიონების განვითარებისთვის.

ფორუმის მეორე დღეს მონაწილეებმა მოინახულეს მესტიაში ENPARD პროგრამის მიერ დაფინანსებული სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივები, მათ შორის ხის საამქრო, ქალთა სოციალური საწარმო, რეაბილიტირებული სპორტული მოედნები და კულტურის სახლი და სხვა.

ღონისძიებას თან ახლდა ადგილობრივი პროდუქტების გამოფენა/დაგემოვნება მათ შორის ტრადიციული სვანური ყველის „ნარჩვის", ტრადიციული სვანური საკრავი ინსტრუმენტებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა და სხვა.

პროექტი „საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა" ევროკავშირის ENPARD პროგრამისა და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის მხარდაჭერით, ხორციელდება ქეა ავსტრიისა და PMC კვლევითი ცენტრის მიერ მესტიის მუნიციპალიტეტში. ევროპულ მიდგომაზე დაყრდნობით, პროექტი ემსახურება სოფლად ეკონომიკის განვითარებას და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას, უზრუნველყოფს დაუცველი ჯგუფების, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობას, და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას.

წყარო: https://bit.ly/3Rj9rbT (www.care-caucasus.org.ge).

საინფორმაციო შეხვედრა ანტიდასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლის საკითხებზე

30 ივნისს, მესტის მუნიციპალიტეტში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ანტიდასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლის საკითხებზე შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ანა ცანავა და ჰიბრიდული ომების მკვლევარი, დავით ძიძიშვილი უძღვებოდნენ.

შეხვედრას ესწრებოდნენ მესტიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ნელი ნავერიანი, საკრებულოს თავმჯდომარე, მაიზერ ჯაფარიძე, მოადგილე ზაურ ჩართოლანი და მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დარეჯან ნიგურიანი.

სემინარი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს

რეგიონებში“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

შეხვედრა - სემინარმა კითხვა-პასუხის რეჟიმში საინტერესოდ ჩაიარა.

კარტოფილის ტური „მწვანე გაჩერება“

23 ივნისს, მესტიაში სეტის მოედანზე ჩატარდა ღონისძიება USAID-ის

კარტოფილის ტური „მწვანე გაჩერება“, რომლის მიზანია USAID-ის კარტოფილის პროგრამის მუშაობის წარმოჩენა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და მისი როლი კარტოფილის სექტორის გაუმჯობესებაში თესლწარმოების ინოვაციური 3G მიდგომით.

პროგრამის ფარგლებში, სადემონსტრაციო ნაკვეთზე დაირგო კარტოფილის ჩითილები, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას მიაწოდეს ინ-

ფორმაცია ჩითილების უპირატესობების და 3G ტექნოლოგიის გამოცდილების შესახებ.

სეტის მოედანზე, ცენტრალურ სკვერში მოეწყო ჩითილების სპეციალური დახლები, სადაც მოხდა პროექტის ქალი ბენეფიციარების მიერ წარმოებული ჩითილების გამოფენა-გაყიდვა.

ჩითილების მოსავლის დარგვის პროცესსა და გაყიდვის ღონისძიებას

ადგილზე ესწრებოდნენ USAID-ის წარმომადგენლები.

საქველმოქმედო მარათონი „ჯანსაღი ცხოვრება ჩვენი წესია“

13 ივნისს, დაბა მესტიაში, საქველმოქმედო მარათონი „ჯანსაღი ცხოვრება ჩვენი წესია“ გაიმართა. შეჯიბრება მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის #2 საჯარო სკოლის პედაგოგის, ნაზიბროლა გულბანის ინიციატივითა და ამავე სკოლის დირექციის ორგანიზებით ჩატარდა.

2,5 კილომეტრიან გარბენში მონაწილეობა მიიღეს მესტიის სხვადასხვა სკოლის მოსწავლე ახალგაზრდებმა, პედაგოგებმა და მშობლებმა.

მონაწილეთა შორის საპრიზო ადგილები დაიკავეს:

I – IV კლასი:

I ადგილი - მარიამ მაჩიტიძე (№2 საჯარო სკოლა)

II ადგილი - სანდრო ჭოხონელიძე (№2 საჯარო სკოლა)

III ადგილი - ალექსანდრე რატიანი (№2 საჯარო სკოლა)

V – VII კლასი:

I ადგილი - ელენე ხერგიანი (№2 საჯარო სკოლა)

II ადგილი - გიორგი მიროტაძე (თბილისის №179 საჯარო სკოლა)

III ადგილი - ირინკა რატიანი (№2 საჯარო სკოლა)

VIII – XII კლასი:

I ადგილი - გიორგი ჯაფარიძე (№3 საჯარო სკოლა)

II ადგილი - ირაკლი ხერგიანი (№2 საჯარო სკოლა)

III ადგილი - ლუკა რატიანი (№2 საჯარო სკოლა)

მარათონში ასევე მიიღეს მონაწილეობა პედაგოგებმა და მოსწავლეთა მშობლებმა მოკლე მანძილზე გარბენში.

მარათონის დასრულების შემდეგ გამარჯვებულებს სიმბოლური სიგელები გადასცა დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლის დირექტორმა, ნატო გვარლიანმა.

შეგახსენებთ, რომ მარათონს საფუძველი ჩაეყარა გასულ წელს, კვირიკე (კარლი) ჯაფარიძის მხარდასაჭერად, წლევანდელ მარათონს კი პატარა კარლი თავად ესწრებოდა.

წელს, მარათონმა უკვე ტრადიციული სახე მიიღო და საქველმოქმედო ხასიათი შეიძინა - ღონისძიების სლოგანი გახლავთ „ვიცხოვროთ ჯანსაღად და ვაკეთოთ სიკეთე“. მარათონი ყოველწლიურად, საჭიროებიდან გამომდინარე შერჩეულ ბენეფიციარებს გაუწევს თანადგომას.

დღევანდელი ღონისძიებიდან შემოსული თანხა გადაეცემა დედ-მამით ობოლ და-ძმას.

„ზაიღე სისხლი - აჩუქე ბავშვებს სიცოცხლე“

3 ივნისს, სისხლის დონაციის საქველმოქმედო აქცია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა.

მოხალისე დონორებს წარმოადგენდნენ ადგი-

ლობრივი თვითმმართველობის, პოლიციის, საჯარო სკოლების და ჯანდაცვის უწყებების თანამშრომლები.

ღონისძიება მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სისხლის ბანკის მიერ, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ჩატარდა.

მადლობას ვუხდით მოხალისეებს მაღალი აქტივობისთვის და უანგარო სიკეთისთვის!

საბავშვო ბაღების გამოსაშვები ზეიმი დაბა მესტიაში

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მესტიის საბავშვო ბაღებში გამოსაშვები ღონისძიებები ჩატრდა.

23 ივნისს, მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა, მესტიის №1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა ჯგუფის „ფიფქების“ გამოსაშვებ ზეიმს უმასპინძლა.

ღონისძიება გახსნეს ჯგუფი „ფიფქების“ აღმზრდელებმა სპეციალურად ამ დღისთვის დადგმული „ფლეშ მობით“. დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აღმზრდელმა მასწავლებელმა, თამარ ნაკანმა.

საგანგებოდ მორთულ სცენაზე, საზეიმოდ გამოწყობილმა პატარა გოგო-ბიჭებმა მუსიკალური ნომრებით, ცეკვებით და სიმღერებით და-

უვიწყარი სანახაობა წარმოადგინეს.

ღონისძიების დასასრულს, ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელმა, მაია ხერგიანმა გზა დაულოცა აღსაზრდელებს სკოლისაკენ და მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, მშობლებს, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას და ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრს მხარდაჭერისთვის.

ზეიმის დასრულების შემდეგ პატარებმა თეატრის ეზოში გადაინაცვლეს, სადაც ფერადი ბუშტები გაუშვეს ცაში. საზეიმო ღონისძიება ფოიერვერკით დასრულდა.

საზეიმოდ დაასრულეს გამოსაშვები წელი მესტიის N1 და N2 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმაც. ღონისძიებებზე პატარები ლექსების მხატვრული კითხვით, ქორეოგრაფიული ნომრებით და სიმღერებით წარსდგნენ დამსწრე საზოგადოების წინაშე.

აღმზრდელმა მასწავლებლებმა პატარებს წარმატებები უსურვეს ცხოვრების ახალ ეტაპზე და სკოლისაკენ მიმავალი გზა დაულოცეს. ღონისძიების დასასრულს სასკოლო მზაობის ყველა მოსწავლეს გადაეცა სახელმძღვანელოები სახელწოდებით „პირველკლასელთა აკადემია“.

შეგახსენებთ, აღნიშნული სახელმძღვანელო საგანმანათლებლო პროექტმა „ეტალონი“ და მისმა ხელმძღვანელმა, გოჩა ტყეშელაშვილმა, საგანგებოდ სასკოლო მზაობის აღსაზრდელებისთვის შექმნა. „პირველკლასელთა აკადემია“ მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, მუნიციპალიტეტის ყველა მომავალ პირველ კლასელს საჩუქრად გადაეცა.

მოსწავლეთა მუნიციპალური პირველობა კრივში

11 ივნისს, მესტიის მუნიციპალიტეტის პირველობა კრივში მოსწავლეთა შორის, ლერი ნაკანის სახელობის სპორტ-კომპლექსში გაიმართა. შეჯიბრში მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ყველა ჯგუფი ასპარეზობდა, კერძოდ: ბეჩოს,

ლატალის, ლენჯერის, მესტიისა და მულახის სპორტული სკოლები. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, თითოეულ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები, რომლებიც დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით.

გთავაზობთ შედეგებს წონითი კატეგორიების მიხედვით:

22 - 24 კგ.
I ადგილი - ოთარ გულედანი;
II ადგილი - მათე დევდარიანი;
26 - 28 კგ.
I ადგილი - ანდრია მარგველანი;
II ადგილი - გიორგი ხერგიანი;
26 - 28 კგ.
I ადგილი - ლაშა კვიციანი;
II ადგილი - ნიკა კვანჭიანი;
28 - 30 კგ.
I ადგილი - ლაშა ბერიძე;
II ადგილი - გიორგი იოსელიანი;
30 - 32 კგ.
I ადგილი - ალექსანდრე ლუხუტაშვილი;
II ადგილი - პაატა სენკოვი;
30 - 32 კგ.
I ადგილი - ლუკა გულედანი;
II ადგილი - ანდრია ფალიანი;
32 - 34 კგ.
I ადგილი - გიორგი მუშკუდიანი;
II ადგილი - ზური გირგვლიანი;
34 - 36 კგ.
I ადგილი - გიორგი მარგიანი;
II ადგილი - თომა გირგვლიანი;
34 - 36 კგ.
I ადგილი - საბა გულედანი;
II ადგილი - ლაშა-გიორგი ავალიანი;
36 - 38 კგ.
I ადგილი - გიორგი თამლიანი;
II ადგილი - ზაგდერ ქალდანი;
38 - 40 კგ.
I ადგილი - ლუკა ლუხუტაშვილი;
II ადგილი - ნიკოლოზ მუშკუდიანი;
40 - 42 კგ.
I ადგილი - გიორგი ნიგურიანი;
II ადგილი - ირაკლი ჯაჭვლიანი;
40 - 42 კგ.
I ადგილი - ლუკა ჯაფარიძე;
II ადგილი - ზურა ჭეხანი;
42 - 44 კგ.
I ადგილი - საბა გურგულიანი;
II ადგილი - ბექა კვიციანი;
52 - 54 კგ.
I ადგილი - გიორგი გულედანი;
II ადგილი - საბა ლურსმანაშვილი;
52 - 54 კგ.
I ადგილი - დავითი მუშკუდიანი;
II ადგილი - ჯემალ გირგვლიანი;
52 - 54 კგ.
I ადგილი - ირაკლი ნიგურიანი;
II ადგილი - გიგი ჯაჭვლიანი;
54 - 57 კგ.
I ადგილი - ბაქარი ფალიანი;
II ადგილი - ნიკოლოზ ნიგურიანი;
57 - 60 კგ.
I ადგილი - ანდრია ნავერიანი;
II ადგილი - საბა რატიანი;
80 - 86 კგ.
I ადგილი - ნიკოლოზ მარგიანი;
II ადგილი - ნიკოლოზ ბერიძე

თენგიზ ჯაოშვილისა და სპარტაკ ასანიძის მემორიალური ტურნირი კრივში

26 - 29 ივნისს, ქალაქ ჭიათურაში გაიმართა ცნობილი ქართველი მოკრივეების თენგიზ ჯაოშვილისა და სპარტაკ ასანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კრივში. შეჯიბრში მონაწილეობდა მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდი. საპრიზო ადგილები მოიპოვეს ადგილები:

36 კგ. წონითი კატეგორია:
II ადგილი - ნიკოლოზ მუშკუდიანი
38 კგ. წონითი კატეგორია:
II ადგილი - გიორგი ნიგურიანი
57კგ. წონითი კატეგორია:
II ადგილი - ბაქარი ფალიანი
75 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - ნიკოლოზ მარგიანი.

ნესტორ ხერგიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

18 - 19 ივნისს, ლერი ნაკანის სახელობის სპორტულ კომპლექსი ჩატარდა, ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის, ევროპის მრავალგზის ჩემპიონისა და პრიზიორის, მსოფლიოს მრავალგზის პრიზიორის, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენის, ყველასთვის საპატიო და საყვარელი ადამიანის ნესტორ ხერგიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.

შეჯიბრი 2 ასაკობრივ ჯგუფში 2008 - 2009 და 2010 - 2012 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ცაგერის, მარნეულის, სამაჩაბლოს, გურიის, ბორჯომის, ფოთის, საგარეჯოს, ზუგდიდის, შვედეთის და მესტიის გუნდები.

ასაკობრივ ჯგუფებში გამარჯვებულ სპორტსმენთა შორის, მესტიის მუნიციპალიტეტიდან საპრიზო ადგილები დაიკავეს:

2009 წლიანები:
34 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - სანდრო ცალანი
42 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ნიკოლოზ ჯაფარიძე
II ადგილი - ალექსი ქანცლიანი
46 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - კვირიკე გირგვლიანი
II ადგილი - საბა ჯაფარიძე
50 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - გიორგი აფრასიძე
55 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - ლუკა ფარჯიანი
+73 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - რეზო ჭეხანი.
2010 - 2012 წლიანები:
24 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ალექსანდრე რატიანი
II ადგილი - ნიკოლოზ ნიგურიანი
III ადგილი - გაბრიელ მიქიანი
27 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ალექსანდრე მარგიანი
II ადგილი - ლუკა ჩართოლანი
III ადგილი - სერგო მარგიანი
III ადგილი - მიქაელ კვანჭიანი
34 კგ. წონითი კატეგორია:
II ადგილი - სანდრო ცალანი
38 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - გიორგი წერედიანი
42 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ბესო პაკელიანი
46 კგ. წონითი კატეგორია:
II ადგილი - საბა ლიპარტელიანი
50 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - საბა გაბულდანი
III ადგილი - ლაშა მარგველანი
50 კგ. წონითი კატეგორია, გოგონები:
I ადგილი - მარი კვანჭიანი
II ადგილი - მარი ხვინთელანი.
55 კგ. წონითი კატეგორია:
II ადგილი - გიორგი ფირცხელანი
+66 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ლუკა ფირცხელიანი.

ერეკლე გურჩიანის სახელობის მუნიციპალური ტურნირი მკლავჭიდში

25 ივნისს, ეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა მსოფლიოს 12 გზის ჩემპიონის, ერეკლე გურჩიანის სახელობის მუნიციპალური ტურნირი მკლავჭიდში. ტურნირში მონაწილეობდნენ ნაკრის, ეცერის, ბეჩოს და ლატალის გუნდები.

შეჯიბრი ორ ასაკობრივ 2005-2007 და 2008-2010 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის გაიმართა.

ღონისძიება ევროპის ჩემპიონის და მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის - გიორგი ასუმბანის, სოფელ ლატალში მკლავჭიდის მწვრთნელის, ვალტერ გურჩიანის და ბაჩუკ გურჩიანის, ასევე მკლავჭიდის მწვრთნელების ეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში ორგანიზებით ჩატარდა.

შეჯიბრის აბსოლიტური გამარჯვებული გახდა - ლუკა ვიბლიანი, ხოლო ერეკლე გურჩიანის სახელობის გარდამავალი თასი დაიკავა ეცერის მოსწავლეთა გუნდმა.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებით და თასებით.

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: დ. მესტია სეტის მოედანი №1	გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებამ: თამარ გოშთელიანი, მაია ფილფანი, ლაშა ჯაფარიძე და ხატია წიკლაური.	გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორი“-ს კომპიუტერულ ცენტრში	ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 25 თამარ გოშთელიანი 595 08 95 30 ხატია წიკლაური ელ. ფოსტა: meriasazogadoeba@gmail.com